ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №323444

ნომერი: AR170780

თარიღი : 02.08.2012

გაცემის თარიღი : 24.08.2012

გაცნობის თარიღი : 03.09.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მასივი დიღომი , ქუჩა ლუბლიანა , მიმდებარედ, ნაკვეთი N31;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ნადირაშვილი პ/ნ 20001012955
- თბილისი, ბახტრიონის ქ. #3, ბ93

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ავტოსადგომიდან კომერციულ ფართში ასასვლელი კიბისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე.

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, დიღმის მასივი, ლუბლიანას ქუჩა, მიმდებარედ ნაკვეთი №31-ში, ავტოფარეხიდან კომერციულ ფართში ასასვლელი კიბისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №882012220825 01.06.2012წ. №882011113903 22.03.2011წ. საკადასტრო კოდი №01.13.01.018.092.01.534, №01.13.01.018.092.01.521 ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, დიღმის მასივი, ლუბლიანას ქუჩა, მიმდებარედ ნაკვეთი №31-ში, ავტოფარეხიდან კომერციულ ფართში ასასვლელი კიბისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ, რომ სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაწყებამდე უნდა იქონიოთ კომერციული ფართის მესაკუთრის მოქ. ლაურა კობახიძის მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებზე.

ასევე ვინაიდან განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს (კონსტრუქტორის გადაწყვეტილების მიხედვით) სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ და დამუშავებული იქნას კონსტრუქციული სქემა შესაბამისი დეტალიზაციით.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge